საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგია:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.12.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 154/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. რ.-ს /სიითი N0566/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. რ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2019 წლის 09 დეკემბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. რ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 2019 წლის 23 დეკემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ლ. ბ.-მა განმარტა, რომ მისი სახლის გვერდით მიმდინარეობდა მშენებლობა, რის გამოც 2019 წლის 09 თებერვალს მის სახლს გამოეცალა საძირკველი, ჩამოიქცა საყრდენი კედელი და მისი სახლი გახდა საცხოვრებლად უვარგისი. სამშენებლო კომპანიამ ის გადაიყვანა ქირით სხვა ბინაში. ამავე პერიოდში დაიწყეს მისი სახლის გამაგრება, მაგრამ ამ პროცესს აკეთებდნენ არასწორად და საქმეს აჭიანურებდნენ. ამ საქმის გამო მას დასჭირდა ადვოკატის მომსახურება და სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართა ადვოკატ მ. რ.-ს, რომელიც არის მისი კურსელის და მეგობრის შვილი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატის დახმარება სჭირდებოდა ერთჯერადი რჩევისათვის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რა უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ მისი სახლი ისევ ყოფილიყო საცხოვრებლად ვარგისი. ადვოკატი, სატელეფონო საუბრიდან მეორე დღეს, 24

თებერვალს მასთან სახლში მივიდა და მოიკითხა საბუთები. საჩივრის ავტორმა მას გადასცა სახლის საბუთების საქაღალდე. საბუთებში ნაწილი იყო დედნის, ნაწილი კი ასლის სახით. ამ შეხვედრისას ადვოკატმა უთხრა, რომ იქნებოდა მისი ადვოკატი სიცოცხლის ბოლომდე, რაც მომჩივანს გაუკვირდა და უპასუხა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ადვოკატის საჭიროება არ ჰქონდა, რადგან ჰქონდა მხოლოდ ერთი სამართლებრივი პრობლემა.

1.4 ადვოკატმა მასთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა ისეთი სახით, რომ ყოველთვიურად უნდა გადაეხადა საადვოკატო მომსახურების საფასური - 500 აშშ დოლარი, რაც მისთვის ადვოკატთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამის შესახებ ინფორმაცია ადვოკატს არ მიუწოდებია, საადვოკატო მომსახურების ჰონორარზე მათ შორის საუბარი საერთოდ არ ყოფილა. საჩივრის ავტორმა არ იცის, როდის გააფორმებინა ადვოკატმა ხელშეკრულება. ადვოკატს მისთვის არ გადაუცია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ის ადვოკატს დაპირდა სახლის ანდერძით დატოვებას, თუმცა ადვოკატმა მისი სახლი მოტყუებით გაიფორმა მათი პირველი შეხვედრიდან მეოთხე დღეს. თითქოს მ. რ.-მა მისგან ხელზე გადაცემულ 50 000 აშშ დოლარად იყიდა აღნიშნული სახლი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ არც სახლის გაყიდვა სურდა არასდროს და არც არანაირი თანხა არ გადაუცია მისთვის ადვოკატს.

1.6 ნოტარიუსთან ვიზიტისას, როდესაც მას ანდერძი უნდა დაეწერა მ. რ.-ს სახელზე, მისი მხედველობა ისე იყო გაუარესებული, რომ ადვოკატი აფრთხილებდა სად იყო საფეხური, სად იყო ზღურბლი. ადვოკატმა თითით აჩვენა, დოკუმენტში რომელ ადგილას უნდა მოეწერა ხელი. თურმე ამ დროს მათ შორის გაფორმებულა ნასყიდობის ხელშეკრულება. მისთვის არც ადვოკატს და არც ნოტარიუსს უთქვამთ, რომ ხელს აწერდა ბინის გაყიდვის ხელშეკრულებას. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა მ. რ.-მა, მოტყუებით, საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმებიდან სამ დღეში გადაიფორმა საკუთარ თავზე ლ. ბ.-ს ის საცხოვრებელი ბინა, რომლის შესახებაც უწევდა მას იურიდიულ მომსახურებას.

1.7 მომჩივანი განმარტავს, რომ რადგან ადვოკატი ექცეოდა ნივთივით, მათ შორის დაირღვა თბილი, დედაშვილური ურთიერთობა. ამ დროს მან ადვოკატს მოსთხოვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დროს მიბარებული ნივთების დაბრუნება, რაც ადვოკატმა შეასრულა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს მოსთხოვა ბინის დაბრუნება, რაც ადვოკატმა არ გააკეთა. ლ. ბ. ამჟამად ცხოვრობს იმ ბინაში, რომელიც ადვოკატის საკუთრებაშია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. რ.-მა 2019 წლის 18 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, მასსა და ლ. ბ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება N01/19 გაფორმდა 2019 წლის 25 თებერვალს, რომლის საფუძველზეც მან დაიწყო ლ. ბ.-ს სამართლებრივი მომსახურება. ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა ლ. ბ.-სათვის იურიდიული მომსახურების გაწევა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სახელმწიფო საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებში, კომერციულ სტრუქტურებთან და ფიზიკურ პირებთან, დამკვეთის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით მდებარე თბილისში, მ.ზიჩის ქ. N5. ხელშეკრულების დადებამდე დაახლოებით 10 დღით ადრე მას ტელეფონით

დაუკავშირდა საჩივრის ავტორი და გაეცნო როგორც მამამისის უახლოესი მეგობარი და კურსელი.

2.2 ლ. ბ.-ს სამართლებრივი პრობლემა შეექმნა საცხოვრებელ სახლზე, რომელიც დაზიანდა და საჭიროებდა შეკეთებას, საძირკველი იყო გამოთხრილი და სახლი გახდა ავარიული. ის გაეცნო საქმის მასალებს, ადგილზე ნახა სახლის მდგომარეობა, ესაუბრა მშენებლებს. მისი ჩართულობით, ეს პრობლემა მოგვარდა. ლ. ბ.-მა საჩივრით მიმართა რაიონულ პოლიციას. ადგილზე მოდიოდნენ საპარტულო პოლიციის სამსახურის, კრიმინალური პოლიციის, თბილისის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები და ამოწმებდნენ შექმნილ მდგომარეობას.

2.3 მ. რ. განმარტავს, მისი ჩართულობით გაუკეთდა მას თვალის ოპერაცია ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში, საუკეთესო ექიმთან. მანვე იზრუნა ოპერაციის წინა პერიოდში ანალიზებზე და ანალიზების პასუხების შედეგად ლ. ბ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ ამ პერიოდში ლ. ბ.-ს მხედველობა დაკარგული არ ჰქონდა, მას შეეძლო დანახვა და ტექსტის წაკითხვა. შესაბამისად, მხარე იცნობდა და ჰქონდა განმარტებული ადვოკატის მომსახურების პირობები.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ მისი საადვოკატო საქმიანობა ამოიწურებოდა კონკრეტული საქმის მოგვარებით.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს ბინის შეკეთების შემდეგ თავის სახლში ცხოვრება აღარ უნდოდა, რადგან შეურაცხყოფილი იყო მშენებლებისგან, ამიტომ ადვოკატს შესთავაზა, თუ ექნებოდა სურვილი და შესაძლებლობა, ეყიდა ეს ფართი. 28 თებერვალს, ლ. ბ.-ს სურვილით და თხოვნით, ადვოკატმა წაიყვანა ნოტარიუსთან და მისი ბინა იყიდა. თანხა გადასცა ლ. ბ.-ს ხელზე, ქიქოძის ქუჩაზე. თანხის გადაცემას არავინ ესწრებოდა. მან იმ პერიოდში გაყიდა საცხოვრებელი ბინა ხვიჩიას ქუჩაზე, თანხა ჰქონდა და აპირებდა უძრავი ქონების შეძენას. ამიტომ, როდესაც ლ. ბ.-მა ბინის გაყიდვა მოინდომა, მან შეიძინა მისი ბინა. ასევე, ლ. ბ.-მა სთხოვა, რომ გაყიდვის შემდეგ, გარკვეული პერიოდი, ამ ბინაში იცხოვრებდა, რასაც მ. რ. დათანხმდა. ეს გარკვეული პერიოდი შეიძლება ყოფილიყო ლ. ბ.-ს სიცოცხლის ბოლომდე.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ წარმომადგენლობის პროცესში, საჩივრის ავტორმა მას ჩააბარა ოქროულობა, ძვირფასი ნივთები, რომელიც შემდეგ მან დაუბრუნა.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ მასსა და კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობა დასრულდა მას შემდეგ, რაც მან შეასრულა თავისი ვალდებულება. ნასყიდობის ხელშეკრულება როდესაც დაიდო, მაშინ სახლის აღდგენითი სამუშაოები არ იყო დასრულებული. ადვოკატი განმარტავს, რომ ანაზღაურება არ მოუთხოვია, რადგან მიეცა საშუალება შეესყიდა უძრავი ქონება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2020 წლის 28 მაისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და დაადგინა, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადვოკატმა მ. რ.-მა დაარღვია კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, ინტერესთა კონფლიქტის, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ეთიკური

ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა), 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 2.1, 5, 6.2(ბ).

3.3 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ დადგინდა ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა და ამ ნაწილში, მის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9(1) მუხლის „ბ" პუნქტის საფუძველზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე, კოლეგიას ადვოკატ მ. რ.-ს მიერ ეცნობა საჩივრის ავტორის ლ. ბ.-ს გარდაცვალების ფაქტი. ადვოკატმა წარმოადგინა მომჩივანის გარდაცვალების მოწმობა, საიდანაც დასტურდება, რომ ლ. ბ. გარდაიცვალა 2021 წლის 3 აგვისტოს.

5.2 დისციპლინურ საქმეში სადავო გარემოებები უშუალოდ უკავშირდება საჩივრის ავტორის მიმართ ადვოკატის მიერ განხორციელებულ სავარაუდო ქმედებებს და შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისთვის უნდა არსებობდეს საჩივრის ავტორის პოზიცია, რაც იქნებოდა საქმის შეჯიბრობითობის საფუძველზე განხილვის საფუძველი. დებულება არ ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას საჩივრის ავტორის გარდაცვალებისას საჩივრის ავტორის და ადვოკატის ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც სხვა პირისთვის ხელშეუხებელი და კონფიდენციალურია ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაცია.

5.3 დებულებით პირდაპირ არ არის დარეგულირებული საჩივრის ავტორის გარდაცვალების შემთხვევა, თუმცა 9.1.ბ მუხლი ითვალისწინებს საქმის წარმოების შეწყვეტას, როდესაც განმცხადებელი ქმედუუნაროა. სამოქალაქო კოდექსის 11-ე მუხლის თანახმად ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რაც წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და წყდება გარდაცვალებით. სამოქალაქო კოდექსის 12.1 მუხლის შესაბამისად უფლებაუნარიანობის სრული მოცულობით განხორციელებისთვის ფიზიკური პირი, ზოგადი წესით, სრულწლოვანების მიღწევისთანავე ხდება ქმედუნარიანი. შესაბამისად ქმედუნარიანობა, ისევე როგორც უფლებაუნარიანობა წყდება ფიზიკური პირის გარდაცვალებით. რადგან განმცხადებელი გარდაიცვალა, ის ვერ იქნება უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანიც, რაც საქმის შეწყვეტის საფუძველია დებულების 9.1.ბ მუხლის შესაბამისად, რის გამოც, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

III სარეზოლუციო ნაწილი

გამომდინარე იქიდან, რომ დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე, საჩივრის ავტორი გარდაიცვალა, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური

პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 9(1) მუხლის „ბ“ პუნქტით და დაადგინა:

1. დისციპლინურ საქმეზე №154/19 ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ /სიითი №0566/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/